ხელშეკრულება № 934/06 03/82

ქ. თბილისი 15 ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ "მიმწოდებელი" – სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა გოგოლიძის სახით, მოქმედი საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 99-ე მუხლის მე-12 პუნქტის, ასევე, აკრედიტაციის ცენტრის დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 04 აგვისტოს #301 დადგენილებით დამტკიცებული -„აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი"-ს თანახმად

და

მეორეს მხრივ "შემსყიდველი" - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრი "გეოანალიტიკა"-სათვის წარდგენილი #151/98 31.08.2016 წ. (აკრედიტაციის ცენტრში დარეგისტრირებული #528 05.09.2016 წ.) განაცხადის საფუძველზე, საგამოცდო ლაბორატორიის გეგმიური მონიტორინგის სამუშაოების შესრულება აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების შესაბამისად. (CPV 71700000-მონიტორინგი და კონტროლი).

1.2. დაფინანსების წყარო: თსუ საკუთარი სახსრები

მუხლი 2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1 **"მიმწოდებელი"** იღებს ვალდებულებას გასწიოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება.

2.2 **„მიმწოდებელი"** სამუშაოებს ატარებს აკრედიტაციის ცენტრის შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად. (დამატებითი ინფორმაცია იხ. აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე: www.gac@gac.gov.ge)

2.3 **"შემსყიდველი"** იღებს თავის თავზე ვალდებულებას, რომ აკრედიტაციის ცენტრის ექსპერტთა ჯგუფს შეუქმნას ყველა პირობა მონიტორინგის ჩასატარებლად.

მუხლი 3. მომსახურების საფასური

3.1 **"მიმწოდებლის"**-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური შეადგენს - **1850.24 (ათას რვაას ორმოცდაათი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. (საფასურების კალკულაციის ფურცელი თან ერთვის ხელშეკრულებას)**

3.2 "შემსყიდველი" მომსახურების საფასურს იხდის უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გეგმიური მონიტორინგით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების შემდეგ ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებულ, "მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

3.3. მე-3 მუხლის პ.3.1-ში აღნიშნული თანხის გადახდა „შემსყიდველის" მიერ მოხდება „მიმწოდებლის" მხრიდან მომსახურების დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული პუნქტები, რომელიც ეხება წინასწარ გადახდას „განმცხადებლის" მხრიდან, ჩაითალოს გაუქმებულად.

მუხლი 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და შეწყვეტა

4.1 სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და გრძელდება 6 თვე, სამუშაოების დასრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება მიღება - ჩაბარების აქტი.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან მოქმედებს 2017 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევაში:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, "შემსყიდველის"-ს წერილობითი მომართვის საფუძველზე;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა

მხარეთა პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6. ფორს მაჟორი

6.1 მხარეები თავისულდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით - ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით და სხვ. რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე. ამასთანავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდბულებების შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიაც მოქმედებდნენ ეს გარემოებები.

6.2 თუ ეს გარემოებები 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოთხოვოს მეორე მხარეს ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება აკრედიტაციის ცენტრის ნორმატიული აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ამ ხელკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას და მას ენიჭება უპირატესი ძალა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ, მანამდე დადებულ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობითი შეთანხმების მიმართ.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

8.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან მეტი დებულება რაიმე მიზეზით ჩაითვლება ბათილად, ძალადაკაგულად ან უკანონოდ, ეს არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც შესაძლებელია ბათილი დებულების მიზნის მიღწევა.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, ორი ინახება „შემსყიდველთან" ხოლო ერთი ეგზემპლიარი - „მიმწოდებელთან".

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჭავწავაძის გამზ.#1 ; ტელ.599 18 20 25

სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი **TRESGE22**
ანგარიშის სახაზინო კოდი 708967255

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

_____

ნუნუ ოვსიანიკოვა

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებელი:

სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186 ალ. ყაზბეგის გამზირი #42ა; +995 32 239 93 48, 219 22 33.
საიდენტიფიკაციო კოდი 200169325
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი **TRESGE22,**
ანგარიშის სახაზინო კოდი 707197055

გენერალური დირექტორი

_____

პაატა გოგოლიძე

ი. საღარეიშვილი

ა. კუკულავა

"გეოანალიტიკა"-ს ცენტრის გეგმიური მონიტორინგი 2016წ

შესაფასებელი სფეროების რაოდენობა N =	11	
შესაფასებელი ტესტირების, დაკალიბრების ან გაზომვის მეთოდების რაოდენობა	250	
აკრედიტაციის სფეროს სიდიდის კოეფიციენტი P=	360	

აკრედიტაციის ცენტრის მომსახურების საფასური H = A + B + T სადაც:			
A	განაცხადის განხილვის საფასური =	0	
B	B = Bძირ + Bფილ		
	ძირითადი საფასური Bძირ =	1300	900 თუ P≤30 1100 თუ 30<P≤80 1300 თუ P>80
	ფილიალების რაოდენობა =		
	დამატებითი ფილიალების შეფასების საფასური: Bფილ = (900 + 100xN) x ფილიალების რაოდენობაზე	0	
	სულ B =	1300	
T	ტექნიკური შემფასებლის (ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტის) ანაზღაურება		T = 90+8xN
	I ტექნიკური შემფასებელის N1 =	6	138
	II ტექნიკური შემფასებელის N2 =	5	130
	III ტექნიკური შემფასებელის N3 =		
	სულ T =	268	

ხელშეკრულების ღირებულების გაანგარიშების ცხრილი					
განაცხადის საფასური	ძირითადი საფასური	ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურება	მომსახურების საფასური	დღგ	ხელშეკრულების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
A +	B +	T =	H	18%	
0	1300	268	1568	282.24	**1850.24**

მოამზადა:

წამყვ. შემფ

შეითანხმა:

ბუღალტერი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

15 ნოემბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი"

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნ. ოვსიანიკოვა

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ი. საღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ა. კუკულავა

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი ს. სანაძე

შესყიდვების მთ. სპეციალისტი ლ. კოპალეიშვილი